### საგანგებო კომიტეტის განცხადება.

მთავრობის საგანგებო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ შემოწირულებანი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება: მთავრობის საგანგებო სამმართველოში (ყოფილი კადეტთა კორპუსი), საგარეო საქმეთა და იუსტიციის სამინისტროში, ქალაქთა კავშირში, ქალ. ტფილისის თვითმართველობაში და იგ. გამართელთან—ანასტასიის ქუჩა, № 21. ნივთების შეწირულება მიიღება ქალაქთა კავშირის საწყობში—მალაკნის ქუჩა, № 48 და რუსთაველის პროსპექტზე (ქალაქის შენობა—ყოფილი საზოგადოებრივი კლუბი).

### მთავრობის საგანგებო კომიტეტში.

რესპუბლიკის მთავრობის თებერვლის 20 ის სხდომაზე არჩეული საგანგებო კომიტეტი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად არჩევისთანავე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას. კომიტეტში შედიან: იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე (თავმჯდომარე), შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და ერობათა კავშირის წარმომადგენელი პ. გ. პეპანაძე, (თავმჯდომარის ამხანაგი) დამფუძნებელ კრების წევრი ივ. გ. გომართელი, ტფილისის ქალაქის თავი ბ. გ. ჩხიკვიშვილი, ქალაქთა კავშირის წარმომადგენელი მ. ო. ზანდუკელი, რკინის გზის წარმომადგენელი ვ. ს. ბარკალაია, მომარაგების სამინისტროს წარმომადგენელი დ. ე. ათაბეგი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკო-სანიტარულ განყოფილების უფროსი ივ. დ. ჯაფარიძე, პროფესიონალურ კავშირთა თავმჯდომარე ა. ხელაია, მისი ამხანაგი ს. დადიანი ჯიბანიძე და იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გ. თ. ჟორდანია, (კომიტეტის საქმეთა მმართველი).

კომიტეტის სხდომები იმართება ყოველ დღე, დილის 10 საათზე, იუსტიციის მინისტრის კაბინეტში, იქვე დაწესებულია მუდმივი მორიგეობა კომიტეტის წევრებისა. კომიტეტის ტელეფონები: 13 56, 17 57, 10 51, 1 03

პირველი ზრუნვა კომიტეტისა იმაში გამოიხატებოდა, რომ მოეწყო მიწის ძვრისაგან დაზარალებულ შენობების დათხრა მიცვალებულების და დაშავებულთა შველა, რისთვისაც გორში გაიგზავნა საქართო ტექნიკური პერსონალი და საპიორთა რაზმი. ეს საქმე ამ ჟამად უკვე დამთავრებულია, მიცვალებულდაშავებულები ამოთხრილნი არიან, მიცვალებულებს გორშივე ასაფლავებენ საერთო სასაფლაოზე, დაშავებულნი ტფილისში ჩამოაყვანეს და სხვა და სხვა საავადმყოფოებში მოათავსეს.

ამავე დროს კომიტეტი ზრუნავდა და ზრუნავს გადარჩენილ დაზარალებულთა უზრუნველყოფას ბინით და საჭმელ-სასმელით. ამისთვის გორში მრავლად გაიგზავნა სანიტარული ვაგონები, კარავები, ფიცრები ბარაკების ასაგებად, თბილი იურტები და „ფეჩები" მათ გასათბობად, რამდენიმე ათასი კომპლექტი თბილი ტანისამოსი, საცვალი და ფეხსაცმელი, მოძრავი სამზარეულოები და სხვ. გაიგზავნა მრავლად ჩაი-შაქარი (500 ფუთ.), კონსერვები, პური (დღეში 600 ფუთი იგზავნება), რამდენიმე ვაგონი შეშა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული დაზარალებულთა ევაკუაციას, მათს სხვა ადგილებში მოწყობას და სურსათით უზრუნველყოფას. დეპოში იქმნა განკარგულება გაცემული, რათა დამზადებულ იქმნას ბინები ყველგან, სადაც კი ეს მოსახერხებელია, სახელდობრ ხაშურში, სურამში, ბორჯომში, ქუთაისში, სამტრედიაში და სხვ. საპასუხო დეპეშებიდან ირკვევა, რომ ყველგან უკვე შეუდგნენ სამზადისს, მზად არიან მიიღონ დაზარალებულნი, მოუწყოთ მათთვის ბინები, მოუმარაგებიათ მათთვის საკმაო სურსათი და სანოვაგე. ტფილისში რეკვიზიციის წესით ჩამორთმეულია რამდენიმე ოთახი სასტუმროებში: „სვეტში", „ივერიაში" „ვასტოკში" და „ფლორენციაში". ამათგან „სვეტში" 23 ოთახი დანიშნულია დაზარალებულ რკინის გზის მოხელეებისათვის. ტფილისის სადგურზე დაწესებულია ნ. კ. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით, მუდმივი ბიურო, სადაც დღე და ღამ განუწყვეტელი მორიგეობა სწარმოებს.

კომიტეტს მრავლად მოსდის სხვა და სხვა კუთხიდან, დაწესებულებათაგან და კერძო პირთაგან წინადადებანი ფულით და შრომით დახმარების შესახებ.

საქმის უკეთესად გასაძღოლად გორში დაარსებულია კომიტეტის განყოფილება დამფუძნებელ კრების წევრის დ. ე. ონიაშვილის თავმჯდომარეობით, ერობის, ქალაქის თვითმართველობის, სახალხო გვარდიის და მუშათა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების თანაწილეობით. მთავრობის საგანგებო კომიტეტის ადგილობრივ რწმუნებულად დაინიშნა მ. ო. ზანდუკელი. სურამ-ხაშურ-ბორჯომის რაიონში კომიტეტის რწმუნებულად დაინიშნა ექიმი გულისაშვილი, მის თანაშემწედ განსაკუთრებით ბორჯომის რაიონისთვის ექიმი კანდელაკი. ტექნიკურ ნაწილის ხელმძღვანელობა დაევალა ინჟენერ არ. პ. მუჯირიძეს.

კომიტეტის დადგენილებით, უნდა მოხდეს დაწვრილებითი აღწერა ფაქტიური მიმხდარ უბედურობისა, რის ხელმძღვანელობაც დაევალათ დამფუძნებელ კრების წევრთ ივ. გ. გომართელს და პ. პ. გელეიშვილს, რომელნიც უკვე გაემგზავრნენ გორში. იქვე გაიგზავნა ფოტოგრაფი. მიღებულია ზომები აგრეთვე სცხოვრებთა ზარალის რაოდენობის გამოსარკვევად. ამისათვის დაზარალებულ რაიონში გაიგზავნება საგანგებო კომისია იუსტიციის და ფინანსთა უწყებებისა, სახელმწიფო კონტროლის და ადგილობრივ თვითმმართველობათა წარმომადგენელთაგან.

შაბათს, თებერვლის 21-ს, ღამით გორში გაემგზავრნენ კომიტეტის თავმჯდომარე რ. მ. არსენიძე, კომიტეტის წევრები ივ. გ. გომართელი, ივ. დ. ჯაფარიძე, მ. ო. ზანდუკელი და სხვ.

### იტალიის მისიის დახმარება.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საერთო საქმეს იტალიის მისიის მიერ გაგზავნილმა საგანგებო რაზმმა, რომელმაც დიდ შეუწყო ხელი დაზარალებულთათვის დახმარების მოწყობას. რაზმმა კარავები დასდგა, მოაწყო საექიმო დახმარება, დაურიგა დაზარალებულთ თბილი ტანისამოსი, საბნები მედიკამენტები და სხვა.

საერთოდ, იტალიელების მისია დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ქართველ ერს მიმდამი წილხვდომილ უბედურობისა გამო. აი რას სწერდა მისიის მეთაური სენ. კონტი საგარეო საქმეთა მინისტრს ე. პ. გეგეჭკორს იმ დღეს, რა დღესაც დატრიალდა უბედურობა: „თქვენის ქვეყნის უბედური ამ თავზარი დამცა. მით უმეტეს ვარ აღელვებული, რომ ვიცი ამ გვარ უბედურების ყოველი შედეგი, რაც ჩემს სამშობლოში ხდება. გიძღვნით ულრმესს და გულწრფელს თანაგრძნობას და ვდარდობ, რომ მისია იმდენად მოწყობილი არ არის, რომ დაეხმაროს თქვენს თანამემამულეთ. მე განკარგულებს გავცემ, რომ ყველაფერი, რაც კი შეიძლება გაიგზავნეს დაზარალებულთ: ექიმები, მედიკამენტები, ხალხი, კარავები, საწოლები და სხვ. გადმოცემულ იქნას თქვენს განკარგულებაში. პირველი უკვე მზად არის წასასვლელად და სხვ.

### ტფილისის ქალაქის მოურავის მოწოდება.

მოქალაქენო! ულმობელმა ბუნების სტიქიამ ქართლი სასიკვდილოთ დაკოდა.

ქართლის გული ქ. გორი და მის მიდამოებში სოფლები უკიდურეს გაჭირვების განიცდიან.

ასობით და ათასობით უბინაონი, მშიერნი, ტიტველ შიშველნი ელიან დამხმარე ხელს. დედა უნუგეშოთ დასტირის შვილის გაცივებულ გვამს, მამა უიმედოთ ცდილობს ცრემლიით გაუხელოს შვილს ჭრილობის ტკივილები, ცოლი სასოწარკვეთილებით შესჩხოდის და ქვეყანას დაებმაროს ოჯახის ნარჩენის გადარჩენაში. ობლად დარჩენილი ბავშვები ითხოვენ დახმარებას.

გაძლიერებულ ქართლის მცხოვრებთა სარჩოსაბადებელი საშინელმა სტიქიამ ნანგრევების ქვეშ მოაქცია. აღარ აქვს ქართლის რამდენიმე სოფელს, რამდენიმე ათასეულს მცხოვრებლად აუცილებელი საჭირო ბინები, სანოვაგე და ნივთები.

ტირის მოხუცი, გლოვობს ყმაწვილი, მოსთქვამს ბავშვი. ყველა ელის დახმარებას, ლმობიერის თვალებით შეჰყურებს ბედშეყოფ ძმას და მისგან ელის შველას.

მოქალაქენო, უდიდეს გაჭირვებაშია ქართლი და მისი გული—გორი. ქართლის გაჭირვება, ქართლის უბედურება—ჩვენი გაჭირვება და უბედურება არის.

დახმარებას გვთხოვენ დაქვრივებული ცოლები, დაობლებული ბავშვები, დასახიჩრებული მალები—ოჯახის მარჩენალნი და ჩვენც ამ თხოვნის არ გაგება, არ შეთვისება, არ უნდა შეგვეძლოს.

შველას ითხოვენ უდანაშაულო მსხვერპლნი სტიქიისა და ჩვენც დავეხმაროთ ამ უბედურთ, დავეხმაროთ რითაც და როგორც შეგვიძლია, უშველოთ გაჭირვებულთ, ჩვენის დახმარებით გაუადვილოთ უბედურების გადატანა, ცრემლი მოვწმინდოთ მტირალთ.

ამას ითხოვს თვითეულ მოქალაქისაგან მისი ადამიანობა, მისი სინდისი.

გატიალებულ გორს და მის მიდამო სოფლებს ესაჭიროება ყველაფერი: ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი, სურსათ-სანოვაგე, ფული, ოჯახის მოწყობილობა, სკამები, ტახტები, ლოგინი და სხვა.

შემოწირულებათა მისაღებად და მოსაგროვებლათ ტფილისის ტერიტორიაზედ ტფილისის ქალაქის საბჭომ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელშიც გარდა ხმოსნებისა, შედიან ადგილობრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, (მუშათა, ვაჭარ-მრეწველთა, ეროვნულ საბჭოების და სხვათა), ქალაქ მოქმედნი, საზოგადო მოღვაწენი და სხვა.

მოქმედების ერთგვარობისთვის, ძალთა დაქსაქსვის თავიდან ასაცილებლად და ნაყოფიერი მუშაობისათვის საბჭოს საჭიროთ მიაჩნია ყველა უკვე შემდგარ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე სხვა და სხვა კომიტეტები და კომიტეტები მოქმედებდნენ ქალაქის კომისიასთან შეთანხმებით.

ამიტომ უკვე შემდგარი ქალაქის კომისია თხოვნით მიმართავს ყველა კომიტეტებს და კომიტეტებს თავიანთ მოქმედება შეუთანხმონ ქალაქის კომისიას, რისთვისაც საჭიროა არის წინასწარი მოლაპარაკება და მოქმედების ერთგვარი გეგმის შემუშავება.

კომისია დღეიდან იწყებს ყოველგვარ შეწირულების მიღებას ჯერ-ჯერობით ქალაქის თვითმმართველობის შენობაში ქალაქის მოურავიან, ან ქალაქის მდივანთან—და შემდეგ სხვა პუნქტებშიც, რომლებიც ცალკე გამოცხადდებიან.

ქალაქ ტფილისის საბჭოს კომისიის თავმჯდომარე ბ. ჩხიკვიშვილი.

---

# შემოწირულება

22 თებერვალს მილიციის უფროსის გ. სულაქველიძის წინადადებით მილიციის თანამშრომლებმა და კომისრებმა გადასდეს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მილიციის შემადგენლობის ორი დღის ჯამაგირი სულ 120.000 მანეთი. ფული უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

---

# ერობა

1920 წლის 2 მარტს დანიშნულია თიანეთის მაზრის ერობის ხმოსანთა საბჭოს წლიური კრება; კრების წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება (1919 წ. მუშაობის შესახებ). 2. 1919 წ. ხარჯთაღრიცხვის გარეთ დახარჯულ თანხების დამტკიცება. 3. თემების გამიჯვნა მაზრაში და თემის დებულების პროექტის განხილვა. 4. ერობის საკანცელარიო განყოფილებას დაარსება და კანცელარიის დებულების პროექტის განხილვა. 5. ადმინისტრაციული—მილიციის რეორგანიზაცია. 6. უძრავი ქონების ძველებური ჩამორთმევა ერობის საჭიროებისათვის, თანახმად 11 ივლისის 1919 წ. კანონისა.

### სახალხო განათლების საქმე.

7. შენობის აგება სახალხო სკოლისათვის თიანეთში. 8. ბარისახოში და შუაფხოში სკოლების შენობების გაკეთება. 9. წიგნთსაცავ სამკითხველოები მაზრაში. 10. ახალი სკოლების გახსნა (შუაფხოში და დოლიგლაურაში დაბალი პირველდაწყებითი სასწავლებლები და ახმეტაში უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი). 11. მასწავლებლების ორი ახალი შტატი ახმეტისა და მარილისის სკოლებში. 12. ხელსაქმის შემოღება დაბალ სასწავლებლებთან. 13. თიანეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში მუსიკის გაკვეთილების შემოღება (პიანინო). 14. საღამოს კურსები მოზრდილთათვის თიანეთში და ახმეტაში. 15. სამთვიანი პედაგოგიური საზაფხულო კურსები თიანეთში (მასწავლებლების მოსამზადებლად). 16. საეკლესიო ფოსტა მაზრაში. 17. ფოსტის ზიდვა ტფილისიდან ერწოს გზით.

### გზების საკითხი.

18. სასოფლო გზების შეკეთება. 19. ფშავხევსურეთის გზის გაკეთება. 20. თიანეთ ერწო ტფილისის შარა გზის შეკეთება (მთავრობისაგან ამ საგანზე დახმარება ან სესხის გამოთხოვა). 21. მატორიან წისქვილის და ელექტრონის სადგურის დადგმა დ. თიანეთში (სმეტა). 22. სასურსათო ოპერაციები 1920 წლის განმავლობაში (სმეტა). 23. კინემატოგრაფის მოწყობა. 24. სახერხი ქარხნის მოწყობა (სმეტა). 25. საქსოვ სართავი ქარხანა (სმეტა).

### მედიკო-სანიტარული საქმე.

26. სამი სასოფლო აფთიაქის გახსნა მაზრაში. 27. სოფლის პუნქტი პანკისში. 28. საექიმო ამბულატორიებთან მძიმე ავადმყოფთათვის საწოლების მოწყობა.

### აგრონომიული საქმე.

29. აგრონომიული პუნქტის გახსნა ახმეტაში. 30. სალდელი მინდვრებისათვის სათესლე მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფა მაზრის სხვა და სხვა რაიონებში.

### ვეტერინარ-სანიტარული საქმე.

31. საავადმყოფოს მოწყობა თიანეთში (სმეტა). 32. ორი ვეტერინარ-სანიტარული ამბულატორიის გახსნა (თიანეთში და ახმეტაში). 33. ავადმყოფ ცხენების შენახვა (სახელმწიფო ცხენების მოსაშენებელ ქარხნიდან). 34. ხბოსახლის მოწყობა და შენახვა (სმეტა). 35. აგრარული რეფორმის დამთავრება. 36. ერობათა მმართველობის ახალი შტატები. 37. მაზრის ტელეფონის ხარჯთ აღრიცხვა. 38. მოსავლიანობის სესხის აღება. 39. გადასახადთა აკრეფის და საერობო სტატისტიკის ხელმძღვანელ ბიუროს დაარსება. 40. ერობის განყოფილებების განაწილება გამგეობის წევრთა შორის. 41. 40 პროც. დამატების გადაცემა ერობის მოსამსახურეებზე, რომელნიც ჯამაგირებს ღებულობენ მხოლოთ საერობო სალაროდან (1919 წ. ნოემბრის 1 დან 1920 წ. იანვრის 1 დე), თანახმად სატარიფო პალატის დადგენილებისა და დამფუძნებელი კრების 2 დეკემბრის დეკრეტისა. 42. 1920 წ. შემოსავალ-გასავლის სმეტის განხილვა და დამტკიცება. 43. მესამე მომრიგებელი მოსამართლის არჩევა. 44. გამგეობის წევრის დოლიძისათვის დახმარების აღმოჩენა მისი მძიმე ავადმყოფობის გამო. 45. ერობის და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის და მათი მოსამსახურეთათვის ბინების რეკვიზიციის შესახებ.

---

### ქუთაისის სამაზრო ერობაში.

უკანასკნელი დადგენილებანი: აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს ქუთაისის სამაზრო ერობას ნახევარი მილიონი მანეთი სესხათ მაზრაში არსებულ ყველა სახნავ მიწების დასათესავად, თანახმათ მთავრობის 6 იანვრის 1920 წლის დადგენილებისა.

დაევალოს გამგეობის წევრს ალ. პაპავას მიიღოს ყოველივე ზომები, რომ აგრარული რეფორმა მიმდინარე წლის მაისის დამლევამდე დამთავრებულ იქნეს: რეფორმის გატარების და ჩქარებისათვის თუ საჭირო იქნება გამოითხოვოს ზედმეტი თანხა შტატების გასადიდებლად.

აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მიმდინარე წლის დამლევ აგვისტომდის მთავრობამ დააკმაყოფილოს მასწავლებლები დამატებითი ჯამაგირებით და თუ მომავალ სასწავლო წელში ამ გიმნაზიას არ ექნება საშუალება მასწავლებლების დაკმაყოფილებისა მთავრობის დაუხმარებლათ დაისვას საკითხი მის დახურვაზე.

შესწყდეს ერობის მეურმეებზე დღიურების მიცემა და ამავე რიცხვიდან დაენიშნოს მათ ჯამაგირი თვეში ათას ხუთასი მანეთი.

მიეწეროს მაზრის ყველა სასწავლებლის გამგეებს, რომ გამგეობას საუწყებლოთ მიაწოდონ ცნობები იმ სკოლების გაუქმების შესახებ.

მიმდინარე წლის 1 თებერვლიდან მიეცეს სამაზრო ერობის ყველა დარგის თანამშრომლებს ჯამაგირები შემდეგი წესით: ვინც ღებულობდა ამ რიცხვამდი 1500 მ. დე.

| | |
|---|---|
| მათ გაუდიდდეს ჯამაგირი . . . . | 70% |
| 1501 მ დან—1800 მ დე . . . . | 60% |
| 1801 „ —2100 „ . . . . . | 50% |
| 2101 „ —3000 „ . . . . . | 40% |
| 3000 მან. ზევით . . . . . . . . | 30% |

დაევალოს გამგეობის წევრს ალ. პაპავას შეიძინოს საერობო საექიმო პუნქტებისათვის საჭირო ინვენტარი და როგორც ძველათ წამოღებულის ისე ამ ახლად შეძენილ ნივთების სიფხიზლით ერთად გადაეხადოს გიმნაზიის დირექციას.

აღიძრას შუამდგომლობა: ა) მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა სათესლე მიწებიდან მოკრებილი ღალა სიმინდისა დარჩეს ადგილობრივ ფონდის განკარგულებაში იმ მიზნით, რომ აუცილებელ საჭიროების დროს დაურიგდეს ის იმ ადგილობრივ მკვიდრთ, ვისაც სიმინდი სრულებით არ ექნება მინდვრების დასათესად; ბ) ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებნი სათესლე მიწის დამუშავებისას იხდიან დაწესებულ იჯარას ხაზინამ გადაიხადოს დაწესებული გადასახადი იმ მიწებზე, რომლებიც ფონდშია გადარიცხული და ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ არ იქნება დამუშავებული; უკანასკნელნი კი განთავისუფლებულნი იქნენ ასეთ მიწებზე იჯარის გადახდისაგან; 3) ეთხოვოს მთავრობას, რომ ერობათა კავშირის დადგენილება სასურსათო საკითხის შესახებ სასწრაფოთ იქნას გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან მაზრაში სასურსათო საკითხი ძალიან მწვავეთ სდგას; გ) აღიძრას შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა სასწრა-

ფოთ იქნას გამოცემული დეკრეტი სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფის შესახებ, ვინაიდან მღვდლები ადგილობრივ ბოროტად იყენებენ თავის უფლებებს და სასულიერო პირებს და ობლებს საჭირო მეტრიკის მიცემის დროს მოითხოვენ დიდ გადასახადს ან სულ არ აძლევენ და ამით აბრკოლებენ, როგორც კერძო პირთა ისე სახელმწიფოებრივი საქმეებიც.

სამკურნალო წყლები გარდა წყალტუბოსა გაიცეს იჯარით. დაევალოს საექიმო განყოფილებას წარმოადგინოს ცნობა მომავალ წელში წყალტუბოს აგარაკის ექსპლოატაციის შესახებ.

# მუნიციპალური ცხოვრება.

## უკანასკნელი დადგენილებანი სიღნაღის ქალაქის საბჭოში.

გამგეობამ და მოქცეულ შემდეგი ნიხრი: ძროხის ხორცი გრევანკა—20 მ., კამეჩის ხორცი—15 მ., ცხვრის ხორცი—30 მან., ღორის ხორცი გაფუფქული—30 მ., ღორის ხორცი გამოყვანებული ქონით—28 მ., ღორის ხორცი გამოყვანილი ქონ გადაღებული—25 მ., ცხვრის დუმა—50 მ., ღორის ქონი ნადუღალი—50 მან., ღორის ქონი წელისა და შიგნეულობისა—40 მან.

— მიეცეს ნება გამგეობას სესხოს მთავრობას ორი მილიონი მან. გრძელ ვადიანი უპროცენტო სესხით სურსათის შესაძენათ.

— ნება მიეცეს გამგეობას სთხოვოს მთავრობას ერთი მილიონი მანეთი გრძელ ვადიან უპროცენტო სესხათ სათესლე ხორბლეულობის შესაძენათ. გამგეობას არა ჰქონდეს უფლება სესხათ აღებული ფული სხვა საქმისთვის დახარჯოს.

— არჩეულ იქნა კომისია სამი პირისაგან, რომელსაც დაევალა აქციონერულ საზოგადოებასთან მოლაპარაკება და საქმის მოგვარება რკინის გზის ტოტის გამოყვანის შესახებ.

— ეთხოვოს მთავრობას დახმარება აქციონერულ საზოგადოებასთან ზემო აღნიშნულ მიზნის განსახორციელებლათ.

კომისიის წევრებათ ერთხმათ არჩეულ იქმნენ: ქალ. თავ. მოადგილე ი. გოცირიძე, პრეზიდიუმის წევრი კ. ტყავაძე და ხმოსანი დ. ჭეიშვილი.

# დეპეშები.

## ფრანგული ცნობები.

მთავრობამ გადაწყვიტა: საჭიროა დაარსდეს განთავისუფლებულ ოლქების სამდივნო, რომლის მოვალეობა გაზრდება განთავისუფლებულ ოლქების, საზოგადო მუშაობის, ვაჭრობისა და მრეწ. მოქმედების სამინისტროთა შორის კავშირის დამყარებაში და რომლის მიზანიც იქნება სხვა და სხვა პრობლემათა გადაჭრის დაჩქარება.

კაიოს საქმის შესახებ მეორე სხდომა შედგება პარასკევს. გამოწვეულნი არიან მოწმენი. დაიწყება დამნაშავეთა დაკითხვა.

ელჩების კონფერენცია შაბათს იხილავდა საკითხებს, რომლებიც საზავო ხელშეკრულობის სახელდობ პირობების ასრულებამ გამოიწვია; გადაწყვიტეს ანკეტა გამართონ იმ მუხლის ასრულების შესახებ, რომელიც გერმანიის რადიო სადგურთა კონტროლს ეხება. ციმბირში მყოფ გერმანელ ტყვეთა სამშობლოში დასაბრუნებლად გემების გაგზავნას საბჭო დაეთანხმა იმ პირობით, რომ ყოველ შემთხვევაში იქ მყოფ ჩეხოსლოვაკელ სამხრეთ სლავურ და პოლონელ ტყვეებს სამშობლოში დაბრუნების პრიორიტეტი ექნებათ და ბოლოს კონფერენციამ გამოიმუშავა უნგრეთში მყოფ მათ წარმომადგენლებისათვის ინსტრუქციები.

მილიერანი ლონდონში დარჩება, ალბათ, კვირის დამლევამდის. „პტი პარიზიენი" ლონდონელ კორესპონდენტის ცნობით მოკავშირეთა კონფერენციას ოსმალეთის საკითხის შესახებ დიდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი გამოუტანია. ოსმალეთს რჩება კონსტანტინოპოლი. მოკავშირენი დაიცავენ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეებს. სმირნა დაუბრუნდეს საბერძნეთს. ამ კუნძულის შინა ტერიტორიები დარჩებათ მათ, ვისაც იგი დღეს უჭირავს. გრძელდება საფრანგეთის მანდატი სირიის ოლქებზე. გადასაწყვეტი დარჩა მრავალი ფინანსიური საკითხი. მილიერანის იქ ყოფნის დროს საბოლოოდ განხილულ იქნება საზავო ხელშეკრულება ოსმალეთთან. რაც შეეხება ადრიატიკის საკითხს, ვილსონის პასუხი ჯერაც არ მიუღია და აზრთა გაცვლა-გამოცვლა წინასწარ საუბარს არ სცილდება.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ტევფიკ ფაშა ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეთ დაინიშნა.

# წერილი აჭარა-კობულეთელებს.

ძმებო, ქართველო მუსლიმანებო. მე თქვენი წრიდან ბნელი ძალების მიერ დევნილმა და საქრისტიანო საქართველოს შეხიზნულმა, ამ დღეებში ფარულად ჩამოვიარე სამშობლო აჭარის ზოგიერთი სოფლები და მწარედ დამაღონებელი სურათი ვნახე: ვნახე, რომ აჭარა-ქობულეთში ძველებურად უჩენია თავი ბნელ ძალებს, აწყობენ აგიტაციას—ურჩევენ ხალხს ზოგი ოსმალეთთან შეერთებას, ზოგიც დენიკინთან, ზოგიც ცალკე დგომას და ქართველი ძმებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, აქეზებენ ისედაც მშიერ ხალხს და ამით თავის ბნელ საქმეს აწყობენ. ძლიერ მეწყინა მე ეს, გული მომიკვდა, როცა ჩვენი ხალხის ერთი ნაწილის ასეთი დაბეჩავება ვნახე და აი ამიტომ მოგმართავთ თქვენ, ძმებო, უმორჩილესი თხოვნით: ნუ უჯერებთ ბნელ ძალებს, ნუ გაებრიყვებით და ნუ დაგიჩაგრებენ ხალხის მტრები, მათ თქვენი დაღუპვა უნდათ, ისინი ჩვენი ხალხისა და მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის მტრები არიან, მათ მათი ბატონობის აღდგენა უნდათ, რევოლიუციამ წაართვა მათ ბატონობა, მათ ოსმალეთთან ან დენიკინთან შეერთებით ამ ბატონობის აღდგენა უნდათ, რომ ისევ ძველებურად ჩაგრონ ხალხი, აწიოკონ ის. ამიტომ გეხვეწებით, ჩემო მეზობლებო, კარგად ჩაუკვირდით მდგომარეობას, გაარჩიეთ მტერი მოყვრისაგან. ჩვენი მტერია „ყდაბილეთის" პარტია და რუსი ხულიგნები—დენიკინელები, ჩვენი მოყვარე და კეთილის მსურველი კი არის მემედ ბეგ აბაშიძე და მისი პარტია—„მუსლიმანთ საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". მხარი დაუჭირეთ მემედ ბეგს, დაიჯერეთ მისი, მას უნდა ჩვენი დახსნა მონობისაგან, მას უნდა ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ძალით გათიშული ძმები—ქრისტიანები ქართველები და ქართველი მუსლიმანები ერთმანეთთან შეაერთოს და ამით გვიხსნას ჩვენ მონობისაგან, გვიხსნას წამებისაგან. ხომ იცით, ქართველი ქრისტიანები ჩვენი ძმებია, მუდამ ჩვენზე მზრუნველი. ეხლაც ჩვენთვის იღწვიან, უნდათ ჩვენ გვიხსნან მონობისაგან, დიდ დახმარებას გვიწევენ, პატივს გვცემენ, მე და ჩემთან ერთად მრავალმა ჩვენი კუთხიდან ბნელი ძალების მიერ დევნილმა თავშესაფარი ვნახეთ საქრისტიანო საქართველოში, ჩვენს მეზობელ გურიაში, სადაც დიდის სიყვარულით და პატივისცემით გვეპყრობიან და არა მარტო ჩვენ, რამდენი ჩვენიანთაგანს ინახავს და პატივს სცემენ ქართველი ძმები. და ნუ გაუგონებთ მათ ამაზრზენ ლაქლაქს ჩვენზე, ნუ ვიქნებით უმადურნი, დავაფასოთ მათი შრომა, შევერთოთ ჩვენი ძმებს და მოძმეებს, მხარში ამოვუდგეთ ჩვენს მეზობელ ძმებს და ისე მოვიქცეთ, როგორც ის გვირჩევს, ე. ი. შევუერთდეთ ჩვენს გათიშულ ძმებს ქრისტიან ქართველებს და ერთად მოვიგერიოთ ჩვენი დაუძინებელი მტრები, როგორც ყდაბილეთელები, ისე დენიკინელ ხულიგნები, ასეთია, ძმებო ჩვენი ვედრება, გაარჩიეთ მოყვარე მტრისაგან, თორემ ბოლოს გვიან იქნება—გავნადგურდებით, თავისუფლებასაც დავკარგავთ, ძველებურ მონობის უღელში სამუდამოდ თავს გავყოფთ და მთელი დუნიის მუქაძეში თავი მოგვეჭრება, როგორც ღვიძლი ძმების მოღალატენი და სამშობლოს შემარცხვენელნი.

თქვენი კეთილის მსურველი მაჰმუდ ხაჯი ახმედ ოღლის შვილი დიასამიძე.

# ქართულ ტერმინოლოგიის საკითხისათვის*)

ქართულ ტერმინოლოგიის საკითხი მეტად მწვავე საკითხია. მწვავეა ის არა მხოლოდ სკოლისათვის, არამედ წმინდა მეცნიერებისათვისაც.

სხვა და სხვა დამაბრკოლებელმა პირობამ შეუძლებელი ჰყო, რომ ქართველებს მიეყოლებინათ თვალყური ევროპის მეცნიერულ ვითარებისათვის. ამის გამო ჩვენ დღეს ერთბაშად გვეხლეჩება მრავალი ახალი ტერმინების შემოღება თანამედროვე მეცნიერების მცნებათა გამოსახატავად.

რა გზას უნდა დავადგეთ ამ საქმის მოსაგვარებლად? არის სხვა და სხვა მიმართულება ამ საკითხში. მათში არის ეწინააღმდეგება ერთი მეორეს. ერთი მიმართულება გვეუბნება შემდეგს: „მეცნიერება უნდა იყოს მთელი ერის კუთვნილება. მაშასადამე, ის უნდა ყველასათვის მისაწვდომი იყოს. ამისათვის კი საჭიროა პირველად ყოვლისა, რომ მეცნიერული ენა ყველას ადვილად ესმოდეს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყოველი მეცნიერული ცნება გამოხატული იყოს ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებულ სიტყვების საშუალებით". ამ აზრის მიხედვით ზემო აღნიშნული მიმართულების დამცველნი გვირჩევენ, რომ ყოველი მცნება შეძლებისდაგვარად გადმოცემული იყოს ქართული სიტყვით. საუკეთესოა, თუ ეს სიტყვა ჩვეული ლექსიკონიდან იქნება ამოღებული. თუ კი ეს არ ხერხდება, უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება ახალი სიტყვის შემოღება, მაგრამ ეს ახლად შემოღებული სიტყვა უნდა შესდგებოდეს ქართული ფესვიდან და მისი ეტიმოლოგიური შენობა შეეფერებოდეს ქართულ ენის ბუნებას.

თუ ამ წესს დავადგებით ქართულ ტერმინოლოგიის შესამუშავებლად, მაშინ მაშინვე გაუქმდებოდება საკუთარ საგნის შეფერხება, გვეუბნებიან ამ მიმართულების დამცველნი. ბავშვისათვის გაცილებით უფრო ადვილია შეითვისოს ის სიტყვა, რომელიც მას ხშირად სმენია თავის ოჯახში, ვიდრე სიტყვა სრულიად უცხო, სხვა ენიდან ნასესხები.

აწინააღმდეგ ეროვნული, დემოკრატიული და წმინდა პედაგოგიური ინტერესები მოითხოვენ, რომ მეცნიერული მცნებათა გადმოსაცემად ვსარგებლოთ უკვე არსებული და ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული სიტყვებით.

აი მოკლეთ, რომ ვთქვათ ერთი მიმართულების აზრი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის შესახებ.

მეორე მიმართულება ეწინააღმდეგება ამას და მოითხოვს, რომ ხმარებაში დატოვებულ იქნეს უცხო ტერმინოლოგია. „აწოდი", „კატოდი", „პირამიდა"—რათ ერთი თარგმნა არ სჭირია, ამბობენ ამ მიმართულების გამზიარებელნი. ახალი გადმოქართულებული ტერმინის შექმნას სჯობს უცხო ტერმინების დატოვება. მით უმეტეს, რომ ეს ტერმინოლოგია ინტერნაციონალურია.

ეს უკანასკნელი აზრი, ერთის შეხედვით, თითქოს რაღაც რეტროგრადიულ პრინციპს იცავს. მაგრამ რომ დავაკვირდეთ საქმეს უკეთესად ის არ არის უარსაყოფი. მართლაც და რას ნიშნავს ეროვნული ინტერესი, დემოკრატიზმი და პედაგოგიური პრინციპი, რომელზედაც მიგვითითებენ ქართულ ტერმინოლოგიის მომხრენი.

ეროვნული ინტერესი მოითხოვს მხოლოდ ეროვნულ პროგრესს. უფრო ეროვნული ის კი არ არის, რასაც უფრო ადვილად ითვისებს ერი, არამედ მხოლოდ ის, რაც აწინაურებს ერს.

სწორედ ამნაირადვე დემოკრატიული ინტერესიც სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ დაკანონებულ იქნეს ის, რაც უმრავლესობას მოსწონს, რაც უმრავლესობისათვის ადვილი გასაგებია, არამედ მოითხოვს იმას, რომ აღიარებულ იქნას მხოლოდ ის, რაც უმრავლესობისათვის უფრო სასარგებლოა. დემოკრატიზმი და კვანტიტეტის ბატონობა ერთი და იგივე როდია, თუ ეს დემოკრატიზმი გავიგეთ პროგრესიულად.

პედაგოგიური თვალსაზრისიც ემსგავსება ზემო აღნიშნულ შეხედულებებს ერის და დემოკრატიის იდეაზე.

პედაგოგიკა იმას კი არ მოითხოვს, რომ ბავშვს ვასწავლოთ მხოლოდ ის, რაც მისთვის უფრო ადვილია. საწინააღმდეგოდ, პედაგოგიკა ინდივიდუალისტურმა მიმართულებამ, რომელმაც თითქმის პედაგოგიურ ანარქიზმამდე მიაღწია, ბევრს ჩვენგანს აუბნია გზა და ხშირად ჩვენ უფრო ადვილი, მართლაც საუკეთესოდ გვეჩვენება. მაგრამ ეს წარმოდგენა პედაგოგიური ხელოვნებაზე არ არის სწორი.

პედაგოგიკა მოითხოვს, რომ ბავშვს გაუადვილოთ იდეალის მიღწევა და ამისათვის ყურადღება მივაქციოთ მის ფსიქოლოგიას, მაგრამ ის სრულიად არ გვეუბნება იმას, რომ თვით იდეალი შევცვალოთ ბავშვის ფსიქოლოგიის მიხედვით. იდეალი უცვლელი რამ არის, რომელიც უნდა შეითვისოს სკოლამ მიზნად თითონ puanbmeme.

ჩვენი ჩვეულება, ჩვენი ბუნებრივი, ეროვნული და სხვაგვარი მიდრეკილება, რა თქმა უნდა, მოქმედებით მწვრთველობაში იდეალის ცხოვრებაში გატარების დროს, მაგრამ თვით ეს იდეალი უნდა დარჩეს უცვლელი. ვინც მოითხოვს იდეალის შეცვლას ჩვეულებრივი დასათმობად, ის ქადაგებს, მართლაც რეტროგრადულ აზრებს: წინსვლის შეწყვეტას და ერთ წერტილზე გაყინვას. შეგნებულად, მე ვფიქრობ, ამას არავინ არ იქადაგებს. მაშ, ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს შეუგნებლობასთან.

თუ ჩვენს საკითხს ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შესახებ აწინაირად მოვუაროთ, ჩვენთვის ადვილი გახდება იმის გადაწყვეტა, თუ რომელ გზას უნდა დავადგეთ ახალი მეცნიერებისათვის შესაფერი ტერმინის შექმნის დროს: ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც ხელს შეუწყობს საუკეთესო ტერმინოლოგიის შექმნას.

რა ახასიათებს კარგს ტერმინს? ტერმინი არის სიტყვა, რომელიც იხმარება მცნების აღსანიშნავად. რაც უფრო სწორედ (точнѣе) შეეფერება სიტყვა თავისი შინაარსს, ცნებას, მით უკეთესია ის.

ჩვეულებრივ ხმარებაში მიღებული სიტყვას კი ახასიათებს ბუნდოვანება. ამას აქვს თავისი ფსიქოლოგიური მიზეზები, რომლებიც კარგად მოეხსენებათ ლინგვისტებს და ლოგიკოსებს. რას ნიშნავს, მაგალითად, სიტყვა „ხე", ჩვეულებრივ ხმარებაში? ამ სიტყვით იგულისხმება ბევრი რამ, რაც არ არის „ხე" მეცნიერული თვალსაზრისით. ამასთან ერთად ამ სიტყვაში არ იგულისხმება ბევრი ისეთი რამ, რაც შედის „ხის" მეცნიერულ მცნებაში. „ხე" რომელიმე მთიელისათვის სულ სხვას ნიშნავს, ბარში მცხოვრებისათვის კი სხვას. მეცნიერული მცნება კი ხეზედ არის ერთი და ყველასათვის სავალდებულო.

ამნაირად ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული სიტყვის მნიშვნელობა შესდგება ჩვეულებრივ ზოგად წარმოდგენაში, რომელიც ხასიათდება თავისი ბუნდოვანებით და გაურკვევლობით.

თუ ჩვენ ეს ჩვეულებრივი სიტყვა ვიხმაროთ მეცნიერულ მცნების აღსანიშნავად, ამით ჩვენ შევქმნით არა სასურველ მოვლენას: მეცნიერული მცნების დამახინჯებას. ის ბნელი შეხილობა, რომელიც დაკავშირებულია ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებულ სიტყვასთან, შეერევა მეცნიერულ მცნებას და ამით ამ უკანასკნელის სისწორე დაირღვევა.

მეცნიერული მცნება არ არის ის ზოგადი, ბუნდოვანი წარმოდგენა, რომელიც შეადგენს სიტყვის ჩვეულებრივს მნიშვნელობას. მეცნიერულ მცნებას აქვს მკაფიოდ გარკვეული ფორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ბუნდოვანებას. სწორედ ამისათვის მეცნიერული მცნების ჩვეულებრივ ხმარებაში მიღებული სიტყვის საშუალებით აღნიშვნა ბადებს იმ უხერხულებას, რომ მცნების შინაარსი ბნელდება. მცნებას ეკარგება მეცნიერული სახე.

სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენაც, რომ დაწინაურებულ ქვეყნების მეცნიერნი ახალი მცნების აღსანიშნავად იშვიათად მიმართავენ თავის დედა ენას, და უფრო ხშირად სესხულობენ უცხო ენის სიტყვებს და აძლევენ მათ მკაფიოდ განსაზღვრულ მნიშვნელობას.

ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული სიტყვები მუდამ შეცდომების წყაროდ მიაჩნდათ. არისტოტელი რომ არ გავიხსენოთ, ინგლისის განთქმული მოაზროვნე ბეკონ ვერულამელიდან დღევანდელის შემეცნების მკვლევარნი მუდამ იმის ჩივილში არიან, რომ ჩვეულებრივი სიტყვები ძლიერ აფერხებენ მეცნიერულ აზროვნებას. ამ ბოლო დროს გერმანელმა ფილოსოფოსმა ავენარიუსმა სცადა სავსებით უკუეგდო ჩვეულებრივი ტერმინოლოგია და სრულიად ახალი ტერმინები შემოეღო თავის აზრების გამოსახატავად.

საზოგადოთ, ჩვეულებრივი შემეცნება (შემეცნება მასისა), და მეცნიერული შემეცნება (შემეცნება პიროვნების) ერთი მეორეს არ ფარავენ. ჩვეულებრივი შემეცნება მხოლოდ გამოსავალი წერტილია მეცნიერებისათვის, ეს უკანასკნელი ცდილობს გადალახოს თავისი გამოსავალი წერტილი, განავითაროს გვარიდან მიღებული ბუნდოვანი წარმოდგენა, და მისცეს მას იდეალური სიმტკიცე. ცხადია, რომ ასეთ პროცესში ჩვეულებრივი წარმოდგენების აღმნიშვნელი სიტყვები არ გამოდგება მეცნიერული მცნების აღსანიშნავად, ვინაიდან პირველი და მეორე განირჩევიან ერთი მეორისაგან: „თევზის" გლეხის წარმოდგენაში შორს განსხვავდება იმ წარმოდგენისაგან, რომელიც აქვს ამ საგანზე ზოოლოგს.

თუ ჩვეულებრივ ხმარებაში შემოღებული ენა ამ ზომამდე აბრკოლებს მეცნიერულ აზროვნებას, რად არ უარყოფენ მას სავსებით, იკითხავს ვინმე. მე უკვე მოგახსენეთ ზევით, რომ ზოგი მეცნიერი მართლაც ცდილობს რამდენადაც შესაძლებელია შეკვეცოს ჩვეულებრივი სიტყვების ხმარება და გამოსძებნოს სრულიად ახალი სიტყვები. მაგრამ ასეთი ცდა გამონაკლისს შეადგენს, ვინაიდან თითოეული მეცნიერი შებოჭილია ტრადიციით. ავენარიუსმა სცადა თავისი ტერმინოლოგია შეექმნა, მაგრამ ამან ბევრად შეუშალა ხელი მისი თეორიის გავრცელებას.

მეცნიერი იძულებულია აქ გარიში გაუწიოს ტრადიციას, თუმცა ის შეიძლება სრულიადაც არ ეთანხმებოდეს მას. ასეთია ტრადიციის ხელშემშლელი მნიშვნელობა.

*) წერილში გამოთქმულ ზოგ მოსაზრებას ტერმინოლოგიის შესახებ რედაქცია არ იზიარებს. რედ.

განსაკუთრებით დიდია ამ ტრადიციის მნიშვნელობა დაწინაურებულ ერებში. აქ ტრადიცია პოულობს დამცველს არა მარტო მასიურ ფსიქოლოგიაში, არამედ მეცნიერთა წრის მოდგმებში, რომელთა მიერ უკვე შექმნილია, გარეშე ჩვეულებრივ ტრადიციისა, მეცნიერული ტრადიციაც დიდი; ვისაც სურს იმუშაოს რომელიმე მეცნიერების დარგში, ვერ შესძლია გვერდი აუაროს თავის წინამორბედ მეცნიერებს, რომლების აზრები [illegible] ხან მათ მიერ შექმნილი სიტყვიერი ფორმებით.

ამნაირად მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ ხალხში შექმნილი სიტყვები თავის შინაარსის ბუნდოვანობის გამო არ არიან საკმაოდ კარგი საშუალება მეცნიერული ცნებების გამოსახატავად, მაგრამ დაწინაურებულ ქვეყნებში მაინც იძულებულნი არიან იხმარონ ეს სიტყვები მეცნიერულად გადამუშავებულ ცნებათა აღსანიშნავად: ეს ხდება უკვე შექმნილ ტრადიციის ზეგავლენით.

ჩვენი მდგომარეობა სულ განსაკუთრებულია. მეცნიერული ცნებანი ჩვენ დღეს მზა-მზარეულად გვაძლევს უცხო ქვეყნებიდან. თუ ამ ქვეყნებში მეცნიერული ცნება თანდათან მუშავდებოდა ჩვეულებრივი წარმოდგენიდან, და ამის გამო ვერავინ ვერ აცნობდა რა განსხვავებაა მეცნიერული და ჩვეულებრივი წარმოდგენის შუა და ერთი და იგივე სიტყვა იყო სახმარებელი, როგორც მეცნიერული აგრეთვე ჩვეულებრივი წარმოდგენის გამოსახატავად, ჩვენ იმ დროს შევდივართ მეცნიერების გადმოქართულებაში, როდესაც მეცნიერული და ჩვეულებრივი წარმოდგენის შუა განსხვავება ცხადზე უცხადესი არის. ეს დიდი უპირატესობაა ჩვენი და შეცდომა იქნება თუ ჩვენ ამ უპირატესობით არ ვისარგებლებთ, თუ ჩვენ ჩვენი აზროვნების განვითარებას იმ გზით წავიყვანთ, რა გზითაც მიდიოდნენ სხვა ერები, რომელთაც არ ჰქონდათ მისაბაძი მაგალითი.

ამნაირად, ჩემის აზრით რაკი მეცნიერული ტერმინები პირველად ფუძდება ქართულ ენაში ეს ტერმინები უნდა შეეფერებოდნენ მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნილებას. კარგია, თუ ჩვეულებრივ ხმარებაში მიღებული სიტყვის შინაარსი (ზოგადი წარმოდგენა) შეეფერება მეცნიერულ მის შინაარსს (მცნებას). ამ შემთხვევაში, რომლის მაგალითი ძლიერ იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, შეიძლება და სასურველიც არის ჩვეულებრივი სიტყვის დანერგვა მეცნიერულ ხმარებაში.

მაგრამ თუ ეს ასე არ არის, მაშინ საჭიროა უცხო მეცნიერული ტერმინის შემოღება.

რაც შეეხება ახალი სიტყვის შეთხზვას ქართული ენის ფუძეებიდან, ეს ნაკლებად მისაღებია: ერთი იმისთვის, რომ ახლად შეთხზულ სიტყვას ასე თუ ისე მაინც თან ახლდეს იქნება ძველებური (ე. ი. ჩვეულებრივ ხმარებაში შეთვისებული და ბუნდოვანი) მნიშვნელობა. მეორე კი იმისათვის, რომ ჩვენი ეროვნული განვითარების გარანტია ჩვენ უნდა ვეძიოთ უცხო ერებთან მტკიცე კავშირში. განკერძოებულად ჩვენ ვერაფერს ვერ შევქმნით. რაც უფრო მეტ დროთ დაკავშირებული იქნება ჩვენი აზროვნება უცხო ერების აზროვნებასთან, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი პროგრესი. მეცნიერული ტერმინოლოგია არის საუკეთესო საფუძველი სხვა ერებთან ურთიერთობისა. ცხადია, რომ ჩვენ ვალდებულნი ვართ ჯეროვნად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა.

ამნაირად, როგორც ეროვნული პროგრესი, აგრეთვე დემოკრატიზმიც და პედაგოგიური ინტერესიც სრულიად არ მოითხოვენ იმას, რომ ქართული სიტყვა უსათუოდ ვიხმაროთ უცხოს მეცნიერული ცნებათა აღსანიშნავად. ზოგს (ძლიერ იშვიათ) შემთხვევაში შესაძლებელია ქართული სიტყვების დატოვება, ზოგში კი (უფრო ხშირად) ეს არ იქნება მიზანშეწონილი და უკეთესი იქნება უცხო სიტყვების შეტანა. ყოველი კონკრეტული შეკითხვა ცალკე უნდა გაიხილულ იქნეს იდეალური ტერმინოლოგიის პირობების თვალსაზრისით.

ს. დანელია.

## საავადმყოფო კასა.

საქალაქთაშორისო საავადმყოფო კასის პრეზიდიუმს მოხსენება წარუდგინა მდივანმა, რომლითაც ირკვევა, რომ უკანასკნელ ხანებში მუშათა შორის საავადმყოფო კასებზე ჩაწერის სურვილი დიდია, ამის გამო მოხსენებელი საჭიროდ სცნობს პრეზიდიუმმა აწარმოს ფართე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, ახსნას მუშებს მნიშვნელობა მოხუცებულობისა და ინვალიდობის დაზღვევის შესახებ; უნდა წაკითხულ იქნას აგრეთვე ლექციები იმ მათ გავრცელებულ სხვა და სხვა სენებთან საბრძოლველად ღონისძიების შესახებ. პრეზიდიუმმა მოხსენების შესახებ დაადგინა გამოჰყოს საავადმყოფო კასის გამგეობიდან კულტურულ-განმანათლებელი კომისია, რომელიც განახორციელებს ზემოხსენებულ პროგრამას.

საავადმყოფო კასის გამგეობის პრეზიდიუმმა საჭიროდ დაინახა საქართველოს საავადმყოფო კასების წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა ახლო მომავლისთვის. ამის გამო გამგეობას დაევალა შეადგინოს საორგანიზაციო კომისია ყრილობის მოსაწვევად და შესაფერი პროგრამის გამოსამუშავებლად.

## რკინის გზაზე

გზათა უფროსმა ინჟ. კანდელაკმა დეპეშით აცნობა გზათა, სამხედრო, შინ. საქმ. სამინისტროებს, და მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომიტეტს, რომ მიწის ძვრის გამო დაზიანებულ რკინის გზის შეკეთების ხელმძღვანელად ინიშნება ინჟ. მელიქ-დავით, მის თანაშემწედ მოძრაობის რევიზორი მ. ლორთქ. ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებამ, რომელნიც ადგილობრივ მოქმედობენ, ყველა საკითხების შესახებ, რომლებიც რკინის გზას ეხება, უნდა მიმართონ მათ. ერთი მათგანი იცხოვრებს ქ. გორში.

— 23 თებერვალს დრამატიულ საზოგადოების „ტარტოს" მსახიობთა ჯგუფი ტფილისიდან ბათუმში გაემგზავრა საგასტროლოთ.

## მილიციაში

19 თებერვალს ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი სიხლ. სამ. მილიც. უფროსთან ფაჩულიასთან ერთად შევიდნენ დაუთვალიერებლად ღამის 12 საათზე საზოგადო კლუბში (კოლოვ. პროს.), სადაც იმ დროს იყო ბანქოს თამაში. მოთამაშეები მაშინვე გაფრთხილებულ იყვნენ საიდუმლო ელექ. ზარით. კლუბი დახურულია.

—

13 თებერვალს ნადირაძე ისაკის ასულმა ახვლედიანმა, განუცხადა სიხ. სამ. მილიციას, რომ მას მოჰპარეს ოქროს საათი, ღირებული 10,000 მ. მილიციამ დააპატიმრა ეზოს დარაჯი გრიგოლი ტომარაძე, რომელიც დანაშაულში გამოტყდა. ტომარაძე გადაეცა მეცხრე უბნის გამომძიებელს.

—

17 თებერვალს ანასტასია ნიკოლოზის ასულმა გრიგორიანცმა განუცხადა სიხლ. სამ. მილიციას, რომ მას ჯიბიდან ამოაცალეს ვერცხლის საფულე, ღირებული 1200 მან. და რომელშიაც იყო 1060 მ. მან ეჭვი მიიტანა ნიკოლოზ ბაჩალუროვზე, რომელიც იქავე შეიპყრეს, წაიყვანეს სიხლ. სამ. მილიციაში და გაჩხრიკეს. მას აღმოაჩნდა საფულე ფულით, რომელიც ეკუთვნოდა ა. გრიგორიანცს. საფულე და ფული პატრონს ჩაბარდა და ბაჩალუროვი კი მეორე უბნის გამომძიებელს გადაეცა.

### შეცდომის გასწორება:

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილში „რედაქციისაგან" შემდეგი კორექტურული შეცდომა იყო: „საქართველოს რომელიმე ჭირს თუ ლხინს თანასწორად იზიარებს მთელი საქართველოს რესპუბლიკა", უნდა ყოფილიყო: „საქართველოს რომელიმე კუთხის ჭირს თუ ლხინს" და სხვა.


### განცხადებანი

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ადრიან სერგეის ძე ლუშჩიხმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ანტონინა თევდორეს ასული ლუშჩიხინისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 9 დეკ. 1917 წ. უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1917 წლის, რის გამო აღნიშნული ადრიან ლუშჩიხინი თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა ვინც იცის დაკარგულ ანტონინა თევდორეს ასული ლუშჩიხინას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 299 3—1

არონშა შალვათის ძე მოლოდარიშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა უვადო პასპორტი № 315, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 303 3—1

ნოე სტეფანეს ძე გურიელიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის ბარათი № 332, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 305 3—1

მარიამ თედორეს ასული ვოიცეხოვსკი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი 1919 წლ., რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 313 3—1

ზაქარია დავითის ძე პაპოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა სახლის წიგნი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 315 3—1

ალექსანდრე სიმონის ძე სენგალოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი თავისი, ელისაბედ ვასილის ასული სემენგალოვის, ნინო ალექსანდრეს ასული დიკოვის და ლუბა ვასილის ასული ახუნდოვისა. ყველა აღნიშნული პირების დაკარგული პასპორტები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 316 3—1

ანასტასია ვასილის ასული კარამაზოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, მიღებული ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსისგან 1880 წ. მარტის 31 ს, რეესტრი 451. 306 3—1

სტეფანე არჩილ ლეონტის ძე ხაჩიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გორის გიმნაზიის ატესტატის შავი, აღებული 1917 წ. მაისის 1 ს № 462. ატესტატი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 311 3—1

ილია ვასილის ძე პაგარიოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მალხაზოვის აღმასრულებელ კომიტეტიდან აღებული პასპორტი № 171, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 312 3—1

არტაშეს გრიგორის ძე კესაბეგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 17325, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3—1

ანასტასია და ანა ივანეს ასულნი პორტნოვები აცხადებენ, რომ მათ დაჰკარგეს მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ტფილისის უფროს პოლიცმეისტერისგან 1910 წ. დეკემბრის 12-ს. საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 310 3—2

არშაკ პავლესის ძე მინასიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საქართველოს რკინის გზის სხვა და სხვა გადასახადების კვიტანციები №№ 72534, 72530, 72514, 72509, 72499 და 72519, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 287 3—3

მიხეილ კონსტანტინეს ძე ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხონის საქალაქო გიმნაზიის კანცელარიიდან აღებული ატესტატი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 293 3—3

ნავთლუღის მილიციელი გიორგი გორდაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხუთი სულის სასურსათო ბარათი № 1319, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 288 3—3

დაკარგული ატესტატი მეცამეტე [illegible] უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლიდან ლავრენტი ალექსანდრეს ძე კვაჟაძის სახელზე № 211, ჩაითვალოს გაუქმებულად. 295 3—3

პავლე ზაქარიას ძე ვინოგრადოვ-ნიკიტინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დადგენილ გადასახადის მოწმობა № 52 1919 წ. დეკემბრის 21 ს სადგ. ვაზიანიდან, 17 ათასი მანეთის საქონლის გაგზავნისა. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 298 3—3

ოვანეს მიკირტიჩის ძე მალხასიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მუშათა მაგიდიდან აღებული სამი სულის სასურსათო ბარათი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 294 3—3

**საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 10 მარტს, დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და აგრეთვე უსაბუთო საცხ. დროებ. სხვა და სხვა ტვირთი, რომელიც უპატრონობის გამო გაუტანელი დარჩა. ბაგაჟი: პეტროგრადიდან—ტფილისი № 11706—1 ცალი წონით 1 ფ. და 35 გირ., ტვირთი ალექსანდროპოლიდან 57060—3 ცალი ძველი საქმები—18 ფ. 30 გ. სამხედრო უწყების სხვა და სხვა ტვირთი: ნადლობიდან—ბორჯომი № 110735 (რიგ. № 651)—1 ც. თუჯის სათლი—2 ფ. 10 გ. მახათხოვიდან—ნავთლუღი № 52629 (რიგ. № 575) 43 ც. სხვა და სხვა საქონელი—135 ფ. 15 გ. ჯულფიდან—ტფილისი № 264391 (რიგ. № 1397) —10 ც.—38 ფ. 15 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 99519 (რიგი № 650) 7 ც. 34 ფ. და 35 გირ. ბორჯომიდან—ტფილისი № 63969 რიგ. № 602 183 ც. (სხვა და სხვა ხის მასალა და სამგზავრო სამზარეულოები). უსაბუთო ტვირთი: აქტით სადგ. ტფილისი № 1121—1 ც. წყალში საყურყუმაო [illegible]—4 ფ. 20 გ. უსაბუთო სამხედრო ტვირთი და ძველი საქმეები სხვა და სხვა დაწესებულებას: აქტით სადგ. ტფილისი № 425 (რიგ. № 44) 53 ც. სახ. დრო. საქონელი—143 ფ. 19 გ. აქტით № 801 რიგ. № 176 4 ც. რკინის საწოლი 4 ფ. 20 გ. აქტით № 374—1 ც. ბარაბანი სადგურ. 26 გ. აქტით №№ 379, 272, 273—3 ც. მხალი 8 გ. ცენტრალურ საწყობის აქტით № 1258 რიგ. № 530—2 ც. რკინის კარი და 6 ჩაი—აქტით სადგ. ტფილისი № 938 1 ც. ძველი საქმები—1 ფ. 10 გ. აქტ. № 874—1 ც. 30 გ. აქტ. № 142—1 ც.—3 ფ. 36 გ. აქტ. № 151 —1 ც.—6 ფ. 10 გ. აქტ. № 148—1 ც.—2 ფ. 10 გ. აქტ. № 348 1 ც. 1 ფ. 15 გ. აქტ. ცენტრალ. საწყობ. № 61—4 ც. 17 ფ. 36 გ. 232 3—2

ალექსანდრე ლევანის ძე ბერიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, აღებული ველისციხის ერობიდან 1919 წ., რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 317 3—2

ზაქარია ჭეჭნაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული ტფილისის უფროსი ნოტარიუსის მიერ 23 დეკემბერს 1903 წ. № 3263, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 227 3—2

გასპარ სარქისის ძე ჯანჯუღაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების მოწმობა და ალექსანდროვის ქარხნის პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მანდატი. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 285 3—3

ალექსანდრე თეიმურაზის ძე თომაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 27, აღებული რაჭის მაზრაში. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 280 3—3

პელაგია მათეს ასული ივანისოვა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 94 აღებული მანგლისის სამმართველოდან 1919 წ. მაისის 9-ს. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 262 3—3

ანატოლი იგნატეს ძე ჰურვასი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო ფული და პასპორტი მპოვნელს სთხოვენ დაუბრუნოს პატრონს. შემდეგი მისამართით: ელისაბედის ქუჩა № 198 ბინა 1. წინააღმდეგ შემთხვევაში გამუქმებულათ ჩაითვალოს. 279 3—3

ბორის მეერის ძე კარლინსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 264 3—3

სახელოვნო სალიტერატურო უპარტიო ჟურნალი

**„თეატრი და ცხოვრება"**

გამოდის ყოველ კვირა, დასურათებული. ფასი 10 მ. მისამართი: ტფილისი, ბაზრის ქ. № 20 რედ. გამომცემელი იოსებ იმედაშვილი. 10—3

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 5 მარტს 10 საათიდან ტფილისის საქონლის სადგურზე, გაიყიდება გაუტანელი უსაბუთო ტვირთი: 13 ცალი ხის კოჭები წონით 260 ფ. თუ ვაჭრობა არ შედგა, ხელმეორედ დანიშნულია მეორე დღეს, 6 მარტს. 236


სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი